



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### ეკლოგი

ეკლოგი, XIII ს. სასულიერო მოღვაწე, „სალოსად წოდებული და წინასწარმცნობლობისა ღირსქმნილი“. ბასიანის ბრძოლის წინ სალოცავად ოძრხეში წასულ თამარ მეფეს თან ახლდა ქართლის კათოლიკოსი თევდორე, ეპისკოპოსებთან და მონაზვნებთან ერთად, რთა შორის იყვნენ იოანე შავთელი და ე. ოძრხეში ყოფნის ჟამს დღედაღამ აღესრულებოდა ლიტანიობა და ვედრება ღმრთისა“ ბასიანში ქართველთა ლაშქრის გამარჯვებისათვის. ერთ-ერთი წირვის დროს ე. სამგზის დაეცა მიწაზე, შემდეგ ხელები ალაპყრო და დაიძახა: „აჰა, წყალობა ღმრთისა სახლსა ზედა თამარისსა მოიწია!“. ყველასთვის ნათელი გახდა, რომ ე-მ საღვთო გამოცხადება იხილა. მან იოანე შავთელს გაანდო ხილვის საიდუმლო – ღვთის შეწევნით ქართველებმა ბასიანში ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს, რის შემდეგაც „მყის წარვიდა ეკლოგი პირისაგან მათისა და დაიძალა“. საქართველომ მართლმადიდებელმა ეკლესიამ ღირსი ე. წმინდანად შერაცხა. მოიხსენიება წმ. იოანე შავთელთან ერთად 1(14). IV.

წყარო: ბასილი ეზოსმოძღუარი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959; ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, იქვე.

ლიტ.: ქართველ წმინდანთა ცხოვრებანი, თბ. – ათენი, 2003.

**თ. მარგველაშვილი**

---